ქედისმუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის სხდომის
ოქმი N4

დაბა ქედა 24 აპრილი, 2024 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 13:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა მერაბ ნაკაშიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან წულუკიძე - კომისიის წევრი;
გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;
ჯიმშერ სამნიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;
გოჩა ჟღენტი- კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში - ციური ზაქარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

24.04.2024 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ჯიმშერ სამნიძე	კომისიის წევრი	
3	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	
4	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
5	ამირან წულუკიძე	კომისიის წევრი	
6	გოჩა გორგილაძე	კომისიის წევრი	
7	გოჩა ჟღენტი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის-წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი "-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტი.

მომხსენებელი: ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხების კომისიის
თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ 2024 წლის 23 აპრილს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა საკითხი (განცხადების ნომერი 12-95241142-95; განცხადების თარიღი: 23.04.2024) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი"- სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების კერძოდ: სასმელი წყლის სისტემისა და სანიაღვრე არხების აღსადგენად შეძენილი პოლიეთილენისა და გოფრირებული მილები, ჯამში 11912 გრძივი მეტრი. მილების საერთო საბალანსო ღირებულება შეადგენს 31664,2 (ოცდათერთმეტი ათას ექვსას სამოცდაოთხი ლარი და ოცი თეთრი) ლარს.

აღნიშნული ქონების შპს „ქედის წყალკანალი"-ზე გადაცემის მიზანია ორგანიზაციამ დროულად მოახდინოს მუნიციპალიტეტის სოფლებში (ახო, ვარჯანისი, შევაბური, ზედა მახუნცეთი და ქვედა მახუნცეთი) დაზიანებული სასმელი წყლის სისტემისა და სანიაღვრე არხების აღსადგენა, დაცვა, უკეთ მოვლა-შენახვა, მომსახურებისა და ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფა.

კომისიის წევრებს საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (ბალანსზე) არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლოთ საკუთრების უფლებით შპს „ქედის წყალკანალი "-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:00 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **მერაბ ნაკაშიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **ციური ზაქარაძე**
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში